

კულტურა და თანამედროვეობა, კულტუროლოგია I კურსი (ეკონომიკა,  
სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები)  
I,II სემესტრი. 2018-2019 წელი  
(ფინალური გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

როგორ მოვლენად იქცა გლობალიზაცია მცირე ერისათვის?

აირჩიეთ ერთი:

- a. მეგობრად;
- b. კეთილგანწყობად.
- c. მაშველ რგოლად;
- d. საშიშ მტრად;

კითხვა 2

რამ გააცოფა ჩრდილოელი მეზობელი.

აირჩიეთ ერთი:

- a. საქართველოს ევროსტრუქტურებსა და ნატოში გაერთიანების სურვილმა;
- b. საქართველოს ისტორიულმა წარსულმა;
- c. ინვესტიციების მოზიდვამ.
- d. ქართული კულტურის განვითარებამ;

კითხვა 3

რას უნდა ვითვალისწინებდეთ საერთაშორისო ვითარების შეფასების დროს.

აირჩიეთ ერთი:

- a. მსოფლიო ისტორიას;
- b. ზესახელმწიფოების ორიენტაციას;
- c. მსოფლიო ეკონომიკას.
- d. დიპლომატიურ ურთიერთობებს;

კითხვა 4

რა სიუჟეტი დაუდო საფუძვლად მიქელანჯელომ „სიქსტის კაპელას“?

აირჩიეთ ერთი:

- a. ათი მცნება;
- b. ფსალმუნნი;
- c. ეპისტოლე.
- d. სახარება;

კითხვა 5

რა არის აუცილებელი დიდი საერთაშორისო გარიგების დროს?

აირჩიეთ ერთი:

- a. პროფესიონალიზმი და პირადი ურთიერთობები.
- b. კომპიუტერი;
- c. პოლიტოლოგია;
- d. მშობლიური ენა;

### კითხვა 6

როგორ დამწერლობას ეწოდება ანბანური დამწერლობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. როცა ცალკეული ბგერების გამოხატვა გრაფიკულად ხდება შესატყვისი ასოებით.
- b. ანბანური ანუ მარტივი, პრიმიტიული დამწერლობა;
- c. ანბანური ანუ ყველასათვის მისაწვდომი დამწერლობა;

### კითხვა 7

რომელ წელს შეიქმნა საქართველოში პირველი კინოფილმი?

აირჩიეთ ერთი:

- a. 1908 წ.;
- b. 1909 წ.;
- c. 1912 წ.
- d. 1907 წ.;

### კითხვა 8

რისი გადაღება შეუძლია მსოფლიოს ჩვენგან?

აირჩიეთ ერთი:

- a. ლანდშაფტის;
- b. ქართული მუსიკის.
- c. ეკონომიკის;
- d. ქართული ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების;

### კითხვა 9

რითი გამოიხატება იტალიელების დამსახურება კულტურის ისტორიის წინაშე?

აირჩიეთ ერთი:

- a. განავითარეს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ნორმები;
- b. განავითარეს ზღვაოსნობა და გეოგრაფიული აღმოჩენები.
- c. იტალიამ შვა უდიდესი მხატვრები ლეონარდო დავინჩი, მიქელანჯელო, რაფაელი, ტიცინი, ბოტიჩელი, ჯორჯონე... და მათი მაღალმხატვრული შემოქმედება. იტალიამ ააგო მარადიული ქალაქი რომი თავისი მდიდარი არქიტექტურული ქმნილებებით. შექმნა საოპერო ხელოვნება;

### კითხვა 10

რას ეწოდება ხატოვანი დამწერლობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. ხაზვას;
- b. ხის ქერქზე ამოკაწრულ ცხოველთა გამოსახულებებს;
- c. გეომეტრიულ ფიგურებს;
- d. ნახატების საშუალებით გადმოცემულ აზრს.

### კითხვა 11

მეცნიერება ხელოვნების შესახებ არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფილოსოფია
- b. ლიტერატურათმცოდნეობა
- c. ესთეტიკა
- d. ლინგვისტიკა

### კითხვა 12

რა უწყობს ხელს ენის ადვილად შესწავლას?

აირჩიეთ ერთი:

- a. რაც უფრო მუსიკალურია ენა;
- b. მართლწერის საკითხები;
- c. ათი მეტყველების ნაწილი.
- d. ენის სტრუქტურული აგებულება;

### კითხვა 13

რაში გამოიხატება ერის ინდივიდუალობა?

აირჩიეთ ერთი:

- a. მის ეროვნულ კულტურაში;
- b. მის კანის ფერში;
- c. მის ფიზიოლოგიაში.

### კითხვა 14

რა ადგილი უკავია ზნეობას კულტურაში?

აირჩიეთ ერთი:

- a. ზნეობა კულტურის ერთ-ერთი რიგითი აუცილებელი ელემენტია;
- b. ზნეობა არაა სავალდებულო კულტურისათვის;

- c. კულტურა, მაშინ შეუძლია ნორმალური არსებობა და განვითარება, თუ მის ყველა ელემენტს საფუძვლად უდევს, ასაზრდოებს და აკონტროლებს ზნეობა.

### კითხვა 15

როგორი თავისუფლება არ არის ჭეშმარიტი თავისუფლება?

აირჩიეთ ერთი:

- a. როცა ადამიანი კეთილშობილია;
- b. როცა ადამიანი არ აზროვნებს.
- c. როცა ადამიანი გამხეცებულია;
- d. როცა ადამიანი იქცევა ისე, როგორც მას სურს;